

საიდ. №72440/03

IR 1159192

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №119-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: თ. ჯაფარიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, დ. ჭიჭინაძე, ლ. ახოზაძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ვიფორ სა“ (Vifor SA) (მის.: რუტ დე მონკორ 10, CH-1752 ვილარ-სურ-გლანი, შვეიცარია; Route de Moncor, CH-1752 Villars-sur-Glâne) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №119-03/14), რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 აპრილის №769/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის - „MAGNESIUM vital sport“ (საიდ.№72440/03 IR 1159192) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება, მოისმინა რა მხარის ახსნა განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 აპრილის აპრილის №769/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი არაგანმასხვავებელუნარიანია განცხადებული საქონლის მიმართ, ვინაიდან აღწერს საქონლის სახეობას, თვისებებსა და დანიშნულებას, რაც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, წარმოადგენს ნიშნის დაცვაზე უარის თქმის საფუძველს, რის გამოც განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „ვიფორ სა“ (Vifor SA) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, თუ მოხდება იმ ფაქტის მხედველობაში მიღება, რომ სასაქონლო ნიშანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „მაგნიუმი ხალისიანი სპორტი“ ან „მაგნიუმი სასიცოცხლოდ საჭირო (მნიშვნელოვანი) სპორტი“, შესაბამისად, გაუგებარია, საქპატენტის ექსპერტიზის მიერ გამოტანილი დასკვნა ნიშნის აღწერილობითობის შესახებ მის სახეობაზე, თვისებაზე და დანიშნულებაზე. აპელანტის მითითებით, წარმოდგენილი ნიშანი განცხადებულია მე-5 კლასის შემდეგი ჩამონათვლისათვის: „დაპატენტებული სამკურნალო საშუალებები მაგნიუმის საფუძველზე, საკვები დანამატები მაგნიუმის საფუძველზე“, რაც მიუთითებს მაგნიუმის გამოყენებაზე სამკურნალო საშუალებებში და საკვები დანამატების სახით. აპელანტის პოზიციით, არ არის არანაირი მინიშნება იმაზე, რომ

ის განმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ, რადგან თუ მოხდება ნიშნის აღქმა კომპლექსურად და არა მისი ცალკეული ელემენტების მიხედვით, ნიშანი ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „მაგნიუმი ხალისიანი სპორტი“ ან „მაგნიუმი არსებითად მნიშვნელოვანი სპორტი“, ან კიდევ „მაგნიუმი სასიცოცხლოდ საჭირო (მნიშვნელოვანი) სპორტი“. შესაბამისად, ნიშანი არ შედგება მხოლოდ საქონლის სახეობისაგან და ნიშანში არ არის მითითება საქონლის თვისებაზე ან დანიშნულებაზე. აპელანტის განმარტებით, ექსპერტიზის გადაწყვეტილებაში კონკრეტულად არ არის მითითებული, თუ რაში გამოიხატება ნიშნის აღწერილობითობა და კონკრეტულად რა ელემენტები ამჟღავნებს მის სახეობას, თვისებას და დანიშნულებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 აპრილის №769/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის - „MAGNESIUM vital sport“ (საიდ.№72440/03 IR 1159192) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად: „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

კოლეგია ნაწილობრივ იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „MAGNESIUM vital sport“ (საიდ. N72440/03 IR 1159192) არ წარმოადგენს აღწერილობით სასაქონლო ნიშანს, რადგან იგი არ შედგება მხოლოდ საქონლის სახეობისაგან. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს, ისეთ ელემენტებსაც - „vital“, „sport“, რომელიც ფანტაზიურია და არ აღწერს ნიშანს. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს მაშინ აქვს ადგილი, თუ ნიშანი შედგება მხოლოდ ისეთი ელემენტებისაგან, რომელიც აღწერს საქონლის თვისებას, ხარისხს, დანიშნულებას და ა.შ აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის უარის თქმის საფუძველს, რადგან ნიშანი არ შედგება მხოლოდ აღწერილობითი ელემენტებისაგან.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანში „MAGNESIUM vital sport“ მოცემული სიტყვიერი ელემენტი „MAGNESIUM“ ინგლისურიდან ქართული ტრასლიტერაციით ნიშნავს ქიმიურ ელემენტს „მაგნიუმს“, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭება მოითხოვება მე-5 კლასის ისეთი საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რომელშიც დაკავშირებულია მაგნიუმის შემცველ სამედიცინო პრეპარატებთან და საკვებ დანამატებთან. აქედან გამომდინარე, კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ნიშანში სიტყვიერი აღნიშვნა „MAGNESIUM“ არაგანმასხვავებელუნარიანია განცხადებული საქონლის ჩამონათვლისათვის, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ

ნიშნში არსებული სხვა სიტყვიერი ელემენტები „vital sport“, რომელიც ინგლისურიდან ქართულზე ითარგმნება, როგორც „სასიცოცხლო (მნიშვნელოვანი) სპორტი“, განცხადებული საქონლის ჩამონათვლისათვის წარმოადგენს ფანტაზიურ ელემენტებს, შესაბამისად, ნიშანი დაცულ უნდა იქნას მთლიანობაში სიტყვისათვის „MAGNESIUM“ დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მინიჭების გარეშე. კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელსა და მომსახურებას სხვა საწარმოს საქონლისა და მომსახურებისათვის, შესაბამისად არ არსებობს აღნიშნული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ვიფორ სა“ (Vifor SA) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ბათილად იქნას ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აპრილის №769/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „MAGNESIUM vital sport“ (საიდ.№72440/03 IR 1159192) მიენიჭოს დაცვა მთლიანობაში საქართველოში განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ, ხოლო სიტყვიერი აღნიშვნა „MAGNESIUM“ ნიშანში შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით .

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

თ. ჯაფარიძე

წევრები:

ს. დუმბაძე

ლ. კერესელიძე